ოქმი:**ო05. 3722350001**

თარიღი:**16/12/2022**

ოქმი №12
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 15 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ვასაძე, გ. მდინარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნადირაშვილი, ბ. კილაძე, ე. გორდელაძე, ვ. ნიჟარაძე, ნ. მახარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელი: პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოვიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი, რომელშიც სრულად გათვალისწინებულია გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები, პ. კიღურაძემ აღნიშნა, რომ კორექტირებული ვარიანტი წარმოდგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი